ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის №1-22.

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. რომელ ეპოქას განეკუთვნება თრიალეთის კულტურა?

ა) პალეოლითის;

ბ) ნეოლითის;

გ) შუა ბრინჯაოს;

დ) ადრე რკინის.

(1) 2. ვინ დაანგრია სოლომონ მეფის მიერ იერუსალიმში აგებული ტაძარი?

ა) ასურეთის მეფე ტიგლათფილესერმა;

ბ) აქადის მეფე სალმანასარმა;

გ) სპარსეთის მეფე დარიოსმა;

დ) ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა.

(1) 3. ვინ იყო ძველ ჩინეთში მოღვაწე კონფუცი?

ა) სწავლული, რომელმაც შექმნა ფილოსოფიური მიმდინარეობა;

ბ) სამხედრო მეთაური, რომელმაც დაწერა პირველი სახელმძღვანელო ომების შესახებ;

გ) სახელმწიფო მოხელე, რომელმაც პირველმა შეძლო შვიდი სამეფოს გაერთიანება;

დ) ვაჭარი, რომელმაც მოგზაურობის შედეგად შექმნა იმ დროისთვის ჩინეთის საუკეთესო რუკა.

(1) **4. რომელი მსჯელობაა მართებული ბერძნული კოლონიზაციის შესახებ?**

ა) ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მცირემიწიანობა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რაც კრიზისს იწვევდა და გამოსავალი ახალი ტერიტორიების ათვისებაში იყო;

ბ) უმთავრესი მიზეზი იყო პოლისებში მუდმივი სამოქალაქო ომები, რომლის შემდეგაც სასამართლო დამარცხებულებს გასახლებას უსჯიდა;

გ) ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი ბერძნული ეკონომიკის თავისებურებაში მდგომარეობდა, რომელიც მთლიანად მონების შრომას მოითხოვდა და მათი წამოყვანა მხოლოდ სხვა ქვეყნებიდან იყო შესაძლებელი;

დ) გადამწყვეტი მიზეზი იყო ბერძნული პოლისების აგრესიული სამხედრო პოლიტიკა, რაც მოითხოვდა სხვადასხვა კუთხეში მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზების შექმნას.

(1) **5. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზს გვირგვინი მეფე ანტიოქოსმა გამოუგზავნა. რომელი სახელმწიფოს მმართველი იყო ანტიოქოსი?**

ა) აქემენიანების;

ბ) სელევკიდების;

გ) ნაბონიდების;

დ) სასანიანების.

(1) 6. რა თანამდებობა ეკავათ რომის რესპუბლიკაში ძმებ გრაკქუსებს?

ა) კონსულის;

ბ) დიდი პონტიფექსის;

გ) ცენზორის;

დ) სახალხო ტრიბუნის.

(1) 7. რომელი ისტორიკოსი მოგვითხრობს ლაზიკაში მიმდინარე „დიდი ომიანობის“ შესახებ?

ა) დიონ კასიოსი;

ბ) ტაციტუსი;

გ) პროკოპი კესარიელი;

დ) აპიანე.

(1) 8. რომელი ტაძარი აიგო ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის მმართველობისას?

ა) ბედია;

ბ) ატენის სიონი;

გ) ზარზმა;

დ) ალავერდი.

(1) **9. რომელი მსჯელობაა მართებული ვენეციის დოჟის – ენრიკო დანდოლოს შესახებ?**

ა) მხარს უჭერდა იტალიის ერთიანი სამეფოს შექმნას, ამისთვის მოიძია დიდძალი ფინანსები და დაიქირავა საუკეთესო სამხედრო მეთაურები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს;

ბ) ეფექტურად გამოიყენა შექმნილი ვითარება, ჯვაროსნები აიძულა შეეცვალათ თავდაპირველი გეგმა და მათი სამხედრო ძალა ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართა;

გ) ლომბარდიის ლიგის შექმნის ინიციატორი იყო და ამ გზით ცდილობდა დაეცვა სამხრეთ იტალია გერმანიის მეფის აგრესიისგან, რაც გარკვეულ პერიოდში მოახერხა კიდეც;

დ) თვლიდა, რომ ტრანსკონტინენტური ვაჭრობა მხოლოდ დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოების ხელში უნდა ყოფილიყო და ამიტომ ცდილობდა აქტიურად ეთანამშრომლა ჰანზის კავშირთან ოსმალთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

(1) **10. რომელი მსჯელობაა მართებული მონღოლთა ლაშქრობებთან დაკავშირებით?**

ა) დიდ ყაენად არჩევის შემდეგ ყუბილაიმ მონღოლთა ლაშქრობების მთავარ სამიზნედ არაბთა სახალიფო აირჩია და რამდენიმე სისხლისმღვრელი ომი აწარმოა ხალიფასთან, თუმცა წარუმატებლად;

ბ) ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ, მონღოლთა ლაშქრობების ახალი ეტაპი ბათო ყაენს უკავშირდება, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია და აღმოსავლეთ ევროპის მიწებიც დალაშქრა;

გ) ბერქა ყაენის მემკვიდრემ, მანგუმ სამხედრო რეფორმა გაატარა და შედეგად პირველივე ლაშქრობისას მოახერხა ჩინეთის იმპერიის დამორჩილება;

დ) საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ჰულაგუმ რამდენიმე წარმატებული ლაშქრობის შედეგად ინდოეთი დაიპყრო და საფუძველი ჩაუყარა მმართველთა ახალ დინასტიას.

(1) 11. რას ეწოდება ჟაკერია?

ა) გლეხთა დიდ აჯანყებას საფრანგეთში ასწლიანი ომის დროს;

ბ) რეფორმაციულ მოძრაობას შვეიცარიაში აუგსბურგის ზავის შემდეგ;

გ) ქალაქების გაერთიანებას სამხრეთ ევროპაში რენესანსის ეპოქაში;

დ) ფეოდალთა გამოსვლას საღვთო რომის იმპერატორის წინააღმდეგ ოცდაათწლიან ომში.

(1) **12. რომელ ევროპელ მონარქთან ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობები საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალეს?**

ა) პოლონეთის მეფე კაზიმერ III დიდთან;

ბ) ინგლისის მეფე ედუარდ I გრძელფეხებასთან;

გ) საფრანგეთის მეფე ფილიპე VI იღბლიანთან;

დ) საღვთო რომის იმპერატორ ლუდვიგ IV ბავარიელთან.

(1) **13. ვინ იყო მონტესუმა?**

ა) ინკების აჯანყების მეთაური, რომელმაც კონკისტადორები დაამარცხა და პერუდან განდევნა;

ბ) მაიას ტომის პირველი ქურუმი, რომელმაც კონკისტადორების მოთხოვნით ქრისტიანობა მიიღო;

გ) ტოლტეკების იმპერატორი, რომელიც კონკისტადორებს ტყვედ ჩაუვარდა და რომის პაპთან ევროპაში გაგზავნეს;

დ) აცტეკების უკანასკნელი მმართველი, რომელიც კონკისტადორებთან ბრძოლაში დამარცხდა.

(1) **14. რომელი ინფორმაციაა მართებული ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის შესახებ?**

ა) იძულებული იყო დამორჩილებოდა შაჰის მოთხოვნას და ტახტზე ასვლის სანაცვლოდ ქრისტიანობა უარყო;

ბ) ტყვეობაში მყოფმა უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე და შაჰის ბრძანებით მოკლეს;

გ) შეთქმულების გაცემის შემდეგ გადაწყვიტა შაჰს ხლებოდა და ამ ნაბიჯით მისი მრისხანება დაეცხრო;

დ) არ ენდო შაჰის პირობას, რომ სიკვდილით არ დასჯიდა და მთიულეთში გაიხიზნა.

(1) **15. რომელი მსჯელობაა მართებული იმერეთის მეფე სოლომონ I-ის შესახებ?**

ა) ტახტზე ასვლისთანავე დაუპირისპირდა საკუთარი ბაბუა ლევან აბაშიძე, რომელიც რუხის ბრძოლაში დაიღუპა. ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დადიანის დამორჩილებამ საშუალება მისცა ძალაუფლება აფხაზეთის სამთავროზეც გაევრცელებინა;

ბ) ოსმალეთის ვასალის ახალციხის ფაშას წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა მესხეთის გავლენიან თავადებს - ჯაყელებს. მათი მხარდაჭერით გაიმარჯვა ნაჭიშკრევის ბრძოლაში და სულთანს ხარკის გადახდაც შეუწყვიტა;

გ) იანეთის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დაიმორჩილა გურიელი და ამით გზა გაეხსნა აჭარისკენ. ადგილობრივი ფეოდალების - ხიმშიაშვილების დახმარებით გარკვეული ხნით ოსმალთა განდევნაც შეძლო ამ კუთხიდან;

დ) გამეფებისთანავე დაიწყო ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ და ფაქტობრივად შეაჩერა ეს პროცესი. ხრესილის ბრძოლაში გამარჯვებამ ხელი შეუწყო გაეძლიერებინა სამეფო ხელისუფლება.

(1) 16. რომელ სახელმწიფოში მიაღწია წარმატებას რევოლუციამ 1848 წელს, რაც მმართველობის ფორმის შეცვლაში გამოიხატა?

ა) ავსტრიაში;

ბ) იტალიაში;

გ) პრუსიაში;

დ) საფრანგეთში.

(1) 17. რა იყო ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთი შედეგი?

ა) სამრეწველო პროდუქციის ფასის შემცირება;

ბ) მანუფაქტურების რაოდენობის მკვეთრი ზრდა;

გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება;

დ) ხელით შრომის მნიშვნელობის ზრდა.

(1) **18. ვინ იყო 1879 წელს შექმნილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ პირველი თავმჯდომარე?**

ა) დიმიტრი ყიფიანი;

ბ) თედო ჟორდანია;

გ) ექვთიმე თაყაიშვილი;

დ) ზაქარია ჭიჭინაძე.

(1) **19. რომელი ცნობილი ქართველი მეცნიერი შედიოდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში?**

ა) ზურაბ ავალიშვილი;

ბ) ვიქტორ ნოზაძე;

გ) აკაკი შანიძე;

დ) მიხაკო წერეთელი.

(1) 20. რომელი პარტია წარმოადგენდა 1919-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებაში მემარჯვენე ოპოზიციას?

ა) ანარქისტულ-სინდიკალისტური;

ბ) ეროვნულ-დემოკრატიული;

გ) სოციალისტ-რევოლუციონერთა;

დ) სოციალისტ-ფედერალისტთა.

(1) 21. რა მოვლენა *<u>არ უკავშირდება</u>* ცივი ომის პერიოდს?

ა) გერმანიის ორად გაყოფა;

ბ) სსრკ-ფინეთის ომი;

გ) ტრუმენის დოქტრინა;

დ) კორეის ომი.

(1) **22. აშშ-ს რომელი ყოფილი პრეზიდენტი ჩამოვიდა საქართველოში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე დასასწრებად?**

ა) ჰენრი ფორდი;

ბ) რონალდ რეიგანი;

გ) ჯიმი კარტერი;

დ) რიჩარდ ნიქსონი.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 23-26.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ბიზანტიის მმართველი დინასტიები.

1. ისავრიელები
2. ანგელოსები
3. პალეოლოგოსები

(1) **24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქართული აგიოგრაფიული თხზულებები მათი შექმნის დროის მიხედვით.**

1. ევსტატი მცხეთელის მარტვილობა
2. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება
3. აბო თბილელის წამება

(1) **25. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ნაპოლეონ III-ის მმართველობის პერიოდის ბრძოლები.**

1. სევასტოპოლი
2. სედანი
3. მაჯენტა

(1) 26. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ლიტერატურული ნაწარმოებები მათში ასახული ისტორიული მოვლენების მიხედვით.

1. „ვისთვის რეკს ზარი“
2. „ოთხმოცდაცამეტი წელი“
3. „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“

ინსტრუქცია დავალებისათვის № 27.

მოსწავლეს აქვს რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისათვის.

მოსწავლის მიერ გაცემულ პასუხთაგან ოთხი (4) არასწორია.

თქვენ უნდა იპოვოთ ოთხივე შეცდომა, გადმოწეროთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება 27. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისათვის დასმული კითხვები:	მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:
27.1. რუკის მიხედვით, დაასახელეთ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე სახელმწიფოები, რომლებსაც წითელი ისრით აღნიშნული ლაშქრობა არ შეხებია.	27.1. უნგრეთი, ბულგარეთი
27.2. რუკის მიხედვით, რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქალაქი იერუსალიმი?	27.2. კვიპროსის
27.3. რომელი ნავსადგურიდან დაიძრნენ რუკაზე წითელი ისრით აღნიშნული ლაშქრობის მონაწილენი და რომელი ქალაქი აიღეს გზად?	27.3. ვენეციიდან, ათენი
27.4. რუკის რომელი კონკრეტული მონაცემის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში სომხური მიწებიც შედიოდა?	27.4. ანისი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებშია
27.5. დაასახელეთ, რუკაზე აღნიშნული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოები, რომლებიც ევროპელთა ლაშქრობების შედეგად შეიქმნა.	27.5. იერუსალიმი, კილიკია, ანტიოქია

ინსტრუქცია დავალებისათვის № 28.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

დავალება 28. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

N1

N2

წარწერები ილუსტრაციებზე:

№1 – ერთა ლიგა; №2 – ვერსალის ხელშეკრულება.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **28.1.** დაასახელეთ №1 ილუსტრაციაზე გამოსახული პიროვნება. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, რა არის ამ ილუსტრაციის მთავარი იდეა? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **28.2.** დაასახელეთ №2 ილუსტრაციაზე გამოსახული პიროვნება. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, რა არის ამ ილუსტრაციის მთავარი იდეა? მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **28.3.** დაასახელეთ ვერსალის ხელშეკრულების ორი კონკრეტული პირობა, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებს აუხსნით, თუ რატომ შეიცვალა ვითარება №1 ილუსტრაციაზე ასახული მდგომარეობიდან №2 ილუსტრაციაზე ასახულ მდგომარეობამდე.

(1) **28.4.** მოიტანეთ არგუმენტი იმის დასასაბუთებლად, რომ №2 ილუსტრაცია შექმნილია XX ს-ის 30-იან წლებში.

ინსტრუქცია დავალებისათვის №29.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

დავალება 29. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

აკაკი ჩხენკელის წერილი ნოე ჟორდანიას

ჩემი აზრი გამართლდა. ამ ხანად ოსმალოსგან არ უნდა მოველოდეთ შველას. როგორც კი ვნახე აქ სამი-ბეი, მაშინვე ამაზე ჩამოვაგდე ლაპარაკი და მან გადაჭრით მითხრა, რომ ჩვენ ამჟამად ომში ვერ ჩავერთვებით მოსკოვის წინააღმდეგო. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ევროპასთან ზავს ჩამოვაგდებთ ჩვენთვის სახეირო პირობებშიო. მიზანი კი კავკასიის გათავისუფლება რუსეთის ბატონობისგან უცვლელი რჩება და მის განხორციელებას თქვენთან ერთად, იმედია, ჩქარა შევუდგებითო.

პირადად სამი-ბეი მარწმუნებს, რომ ოსმალოს ერთი ადლი მიწაც არ უნდა თქვენიო. დეპეშაც კი გაუგზავნია ვითომ ამ ხასიათის ანგორაში. გუშინ მოვიდა ჩემთან და განმიცხადა უკვე პასუხიც მივიღეო ჩვენი ჯარი ბათუმში შევიდა თქვენ მთავრობასთან შეთანხმებითო. მოხელეები იქ თქვენი რჩებიანო, აგრეთვე უზენაესობაცო, ხოლო პროვინციაში პლებისციტი მოხდებაო შემდეგ. როცა მე შევეკითხე, როგორ გინდათ პროვინცია ქალაქს გაყაროთ-მეთქი, მან მიპასუხა, ჩვენ არ ვისაკუთრებთ არც ქალაქს და არც პროვინციასო, ჩვენ გვინდა მხოლოდ მათ ორივეს მხოლოდ ავტონომია მიეცესო.

ჯერ აქაა სამი-ბეი და როგორც კი წავა მეც თან გავყვები პარიზში.

ჩემი ხაზი ასეთია, შეთანხმება ოსმალოსთან კავკასიის გათავისუფლების მიზნით, მონაწილეობა ან გარანტია ლონდონის და პარიზის ამა თუ იმ ფორმით ამ შეთანხმების რეალიზაციისთვის და 1914 წლის რუს-ოსმალოს საზღვრები. ამის მიღწევა პარიზში ძნელია.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ოსმალო თვითონ იგრძნობს და არ შეიძლება არ იგრძნოს, რომ ნამდვილი ხიფათი მოსკოვიდან მოელის, მაგრამ ეს დრო ჯერ არ დამდგარა.

ლონდონში მუშაობა ნამეტანი გაძნელებულია, ნიადაგიც მოუმზადებელი დამხვდა. მთავარი მიზეზი რუსეთთან ხელშეკრულების დადების განზრახვაა, რომელიც ცოტათი შეაფერხა პეტროგრად-კრონშტადში მომხდარმა არეულობამ. აფერხებს აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის მოუწესრიგებლობა. მქონდა შეხვედრა საგარეო სამინისტროს ზოგიერთ მოხელესთან. თანაგრძნობის უფრო შორს არ მიდიან. დანარჩენზე დუმილს არჩევენ. დღეს მქონდა დანიშნული შეხვედრა კერზონთან, მაგრამ შემომითვალა ლორდთა პალატაში მიწვევენ სხდომაზე და სულ ჩქარა შემოგითვლით შეხვედრის დროსო. უნდა ვიცადო, რადგან რწმუნების წერილის ასლი არ წარმიდგენია. არ ვიცი, მიმიღებენ ისე თუ არა, როგორც პარიზში.

ფრანგი უთუოდ უნდა გამოვიყენოთ, იტალიელიც, თუ საჭირო შეიქმნა, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი ისევ ინგლისი რჩება. ამიტომ არ უნდა გავუშვათ არც ერთი შემთხვევა, რომ ინგლისი დაინტერესდეს ჩვენით.

მე არ ვიცი ფრონტზე რა მდგომარეობაა, მაგრამ როცა ამას მიიღებთ, ალბათ საქართველოს ტერიტორიაზე არ იდგომებით. ბევრი დაიწერა აქ ჩვენი ჯარების გმირობის შესახებ, სამინისტროებში, აგრეთვე სამხედრო პირები განცვიფრებას გამოთქვამენ და გვაქებენ. ხაზს უსვამენ რომ მთელს კავკასიაში მარტო ქართველები გამოდგნენ ნამდვილი პატრიოტები, რომელნიც სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოზღვავებულ მტერს, რომ დიდი რუსეთის წინააღმდეგ ერთი თვის გაძლებაც, როცა გვერდით ოსმალომ და სხვა მეზობლებმა არ დაგვინდეს, დიდი საქმეაო.

ცნობები ცოტა გვაქვს. რაღაც ორიოდე გაზეთი მოვიდა, ისიც ძველი ნომრები, მაგრამ მაინც ვიცი ცოტა რამე. იარაღზე არაფერს ვიწერები, რადგან, რაც შეგვეძლო გავაკეთეთ, თქვენც იცით.

მთავრობა როგორც ასეთი, არას გზით არ უნდა დაიშალოს, მისი რეზიდენცია უნდა იყოს სტამბოლი. მე ეხლა უფრო მწამს ჩვენი თავისუფლების საქმე. ის, ვისაც ასეთი ხალხი ზურგს უმაგრებს, როგორიც ქართველი ერია, არასდროს არ დაკარგავს რწმენას.

17 მარტი 1921 წელი.

აკაკი ჩხენკელი, საქმიანი წერილები, საუბრის ჩანაწერები და ოქმები, თბილისი, 2024.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **29.1.** რა პირობა იყო აუცილებელი, სამი-ბეის აზრით, რომ ოსმალეთი რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმულიყო?

(1) **29.2.** სამი-ბეიმ დეპეშა გაგზავნა ანგორაში. ვინ იყო ამ დროს ანგორაში მყოფი მთავრობის მეთაური?

(1) **29.3.** დოკუმენტის მიხედვით, რას აღნიშნავდნენ განსაკუთრებით ინგლისელი სამხედროები და სამინისტროების თანამშრომლები?

(1) **29.4.** რა თანამდებობა ეკავა 1921 წლის მარტში ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტში ლორდ კერზონს, რომელიც დოკუმენტშია მოხსენიებული?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **29.5.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ აკაკი ჩხენკელი ოფიციალურ დიპლომატიურ მისიას ასრულებდა ევროპაში?

(1) **29.6.** დოკუმენტის მიხედვით, რომელ ევროპულ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზე ამყარებდა იმედს აკაკი ჩხენკელი?

(2) **29.7.** აკაკი ჩხენკელის აზრით, რა ორი პირობა იყო აუცილებელი სამომავლოდ ოსმალეთთან შეთანხმების მისაღწევად?

(2) **29.8.** სრულად ჩამოთვალეთ, აკაკი ჩხენკელის აზრით, რა აფერხებდა მის მუშაობას ლონდონში, „ნიადაგის მოუმზადებლობის“ გარდა.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) **29.9.** დოკუმენტის მიხედვით, რის ჩატარებას გეგმავდა ანგორის მთავრობა ბათუმსა და ბათუმის პროვინციაში და რა იყო მათი მიზანი ამ მხარეში?

(2) **29.10.** აკაკი ჩხენკელის აზრით, სად უნდა განეგრძო მოღვაწეობა ემიგრაციაში წასულ მთავრობას და, ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, თქვენი აზრით, რატომ შეირჩა ეს ქალაქი?

(2) **29.11.** აკაკი ჩხენკელის მიერ წერილის დაწერამდე ერთი დღით ადრე 16 მარტს მოსკოვში გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვისაც. რომელ მხარეებს შორის დაიდო ეს ხელშეკრულება და რატომ იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის?

(2) **29.12.** დოკუმენტის მიხედვით, რა იყო აკაკი ჩხენკელისთვის ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი წყარო და რა ნაკლი ჰქონდა ამ წყაროს?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე